შ.პ.ს. “ ედრი + ”

ვამტკიცებ

შ.პ.ს. “ედრი+” დირექტორი

ი. მანწკავა



საექსპერტო დასკვნა

ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-6 კილომეტრზე არსებული შენობის (ს/კ 40.00.194.94) რეკონსტრუქციის შესაძლებლობის შესახებ

თბილისი 2016 წ

დავალების თანახმად საჭიროა შედგეს საექსპერტო დასკვნა, ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-6 კილომეტრზე არსებული შენობის (ს/კ 40.00.194.94) რეკონსტრუქციის შესაძლებლობის შესახებ

ტექნიკური მდგომარეობის კვლევა წარმოებდა "საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს" მიერ 1992 წელს გამოცემული – "საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგოარეობის დადგენის ინსტრუქციისა" და СП-13-102-2003-ის "შენობებისა და ნაგებობების მზიდი სამშენებლო კონსტრუქციების გამოკვლევის წესები"-ს მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-6 კილომეტრზე არსებული შენობა მდებარეობს სწორ ზედაპირზე. იგი წარმოადგენს ორ სართულიან მსხვილ ბლოკოვან შენობას. გეგმაში იგი მართკუთხა მოხაზულობისაა, ზომებით 10,85 X 20,12 მ, მისი სიმაღლე 13,6 მ.-ია. სართულშუა გადახურვები შესრულებულია ანაკრეფი რკინაბეონის ღრუტანიანი ფილებით. სართულებს შორის კომუნიკაცია ხორციელდება ლითონის ჩანებზე დალაგებული ანაკრეფი რკინაბეტონის საფეხურების მქონე კიბეებით.

სახურავი ბრტყელია, ბურული - რულონური საფარი.



სურ.1. არსებული ნაგებობის ხედი



სურ.1. შიდა ინტერიერი

შენობის რეკონსტრუქცია ითვალისწინებს:

1. არსებული შენობის ფარგლებში, შიდა სივრცეში, ტიხრების გადაგეგმარებას და ტორეცის ნაწილში კარის ღიობის გაჭრას.

უბანი, სადაც განლაგებულია შენობა, ხასიათდება შემდეგი მახასიათებლებით:

სეისმიურობა - 8 ბალი

ქარის ნორმატიული დატვირთვა - 85 კგ/მ2

თოვლის ნორმატიული დატვირთვა - 50 კგ/მ2



სურ.3. საკედლე პანელების ხედი

ჩატარებული გეოლოგიური კვლევების მიხედვით სამშენებლოუბანზე გამოყოფილია 3 საინჟინრო გეოლოგიურიელემენტი:

1. - ნაყარი
2. – თიხა, მოყვითალო ყავისფერი, ძნელპლასტიკური, სეისმიური თვისებების მიხედვით II კატეგორიის (I_L<0,5)
3. – თიხა, მოყვითალო ყავისფერი, რბილპლასტიკური, სეისმიური თვისებების მიხედვით III კატეგორიის (I_L>0,5), პირობითი საანგარიშო წინაღობით R_0=1,9 კგ/სმ2

ნაგებობა ლენტური საძირკვლებით ეყრდნობა მოყვითალო ყავისფერ, რბილპლასტიკურ თიხებს, მიწის დონიდან -1,9 მ სღრმეზე.



სურ.4. ღრუტანიან ფილებს შორის წყლის ჩაჟონვის კვალი

განსახილველი შენობის კონსტრუქციების მზიდი ელემენტების სიმტკიცის მახასიათებლების დასადგენად შესრულებული იქნა ინსტრუმენტული სამუშაოები კონტროლის ურღვევი მეთოდების გამოყენებით.

გამოკვლეული იქნა არჩევითი მეთოდით, წინასწარ შერჩეული სვეტების, რიგელების, დიაფრაგმების და გადახურვის ფილების ბეტონის მარკები სკლერომეტრული მეთოდით. ბეტონის სიმტკიცის კონტროლი ჩატარდა *ГОСТ* -22690-80; *ГОСТ-1018-90; ГОСТ* 1018-2000 და *ГОСТ* -18105-86 მოთხოვნების

გათვალისწინებით. გამოყენებული იქნა იტალიური წარმოების "*CONTROLS*"- ის ფირმის ჩაქუჩი, მოდელი "*ELKOMETER* 181"' რომელიც განსაზღვრავს კუბური (150X150X150 მმ) ფორმის ნიმუშების სიმტკიცეს 10 – 65 ნ/მმ2 დიაპაზონში. ხელსაწყოთი აღებული მაჩვენებლების ცდომილება *M200 – M300* მარკის ბეტონებისათვის შეადგენს 15-20%-ს.



სურ.5. ბეტონის კლასის განსაზღვრა რკინაბეტონის საკედლე პანელებში

ჩვენს მიერ გამოკვლეული იქნა რკინაბეტონის საკედლე პანელები და გადახურვის ანაკრეფი რკინაბეტონის ღრუტანიანი ფილები წინასწარ შერჩეულ კვეთებში. გამოკვლევებით ამ ელემენტებში ბეტონის კლასი კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით *B20*-ის ფარგლებშია, რაც დამაკმაყოფილებელია.

ვიზუალური დათვალიერებით, ნაგებობის მზიდ ელემენტებში მნიშვნელოვანი ბზარები და დეფორმაციები არ შეინიშნება, მისი ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, და შესაძლებელია არსებული შენობის ფარგლებში, შიდა სივრცეში, ტიხრების გადაგეგმარება და ტორეცის ნაწილში ღიობის გაჭრა. აღნიშნული სამუშაოები უნდა ჩატარდეს ამ მიზნით დამუშავებული შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით.

დასკვნა

ჩატარებული ვიზუალური კვლევების მიხედვით ქ.თბილისი, კოსტავას ქ. №84-ში, შესაძლებელია არსებული შენობის ფარგლებში, შიდა სივრცეში, ორი სართულისა და მესამე დონის ნაწილში დამატებით ანტრესოლის მოწყობა.

ამ მიზნით საჭიროა:

1. აღნიშნული სამუშაოები უნდა ჩატარდეს ამ მიზნით დამუშავებული საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით.
2. საპროექტო ნაგებობა, როგორც სივრცული კონსტრუქცა, გაანგარიშებული უნდა იქნეს 8 ბალიან სეისმიურ ზემოქმედებაზე.

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი ლ. ზამბახიძე
T: 551-24-30-18
ელფოსტა: Lerizam@mail.ru